ქალაქ თბილისის მერი

განკარგულება № 2521

" 6 " ნოემბერი 2013 წ.

ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.72.14.007.435; 01.72.14.007.452; 01.72.14.007.453), მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმების შესახებ.

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 62-ე მუხლის, საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, “ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2013 წლის 31 ოქტომბრის სხდომის №43 ოქმის შესაბამისად:

1.დამტკიცდეს ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.72.14.007.435; 01.72.14.007.452; 01.72.14.007.453) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს გრგ-ს საპროექტო წინადადების მიხედვით.

2. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

4.წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი უგულავა

HOLDINGS

მინდობილობა

წინამდებარე მინდობილობით, მე, შპს **"Sky Holdings"-ის** (კომპანია რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო ნომერი: 404421666, იურიდიული მისამართი: თბილისი, ბესიკის ქ. №4, მიმდებარედ, ნაკვეთი №46/10) (შემდგომში "კომპანია") დირექტორი - **ილია ინაშვილი** (პირადი ნომერი: 01024004006) **("მარწმუნებელი")** უფლებმოსილებას ვანიჭებ

ირაკლი ჩირაძეს (დაბ: 06.02.1968; პირადი №01017022486, პირადობის მოწმობის №a0359879; გაცემული 22.11.2001წ.)

რათა მან განახორციელოს შემდეგი ქმედებები მარწმუნებლის სახელით:

იყოს მარწმუნებლის წარმომადგენელი თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურთან და განახორციელოს ნებისმიერი პროექტის და/ან ესკიზის შეთანხმება და არქიტექტურულ გეგმარებითი დავალების და/ან მშენებლობის ნებართვის მოპოვება, და/ან არსებული პროექტის კორექტირება, ახალი მშენებლობის ნებართვის მოპოვება მარწმუნებლის საკურებაში არსებულ შემდეგ უძრავ ქონებაზე:

- მიწის უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 01.11.12.016.110

წარმოადგინოს მარწმუნებელი ქალაქ თბილისის მერიაში და ქალაქ თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში, მოახდინოს კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებ(ებ)ის ზონირების ან/და ფუნქციის ან/და კოეფიციენტის შეცვლა და განახორციელოს სხვა ნებისმიერი ქმედება თავისი შეხედულებისამებრ, ჩააბაროს, გამოითხოვოს, შეასწოროს პროექტი და ნებისმიერი დოკუმენტაცია, გადაიხადოს ყველა საჭირო გადასახადი და ხელი მოაწეროს შეთანხმებებს, ნებისმიერ განცხადებას, მარწმუნებლის სახელით მონაწილეობა მიიღოს მოლაპარაკებებსა და შეხვედრებში; ქალაქ თბილისის მერიის და ქალაქ თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის წინაშე წარმოადგინოს მარწმუნებლის ინტერესები, როგორც ჩკომპანიის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა. განახორციელოს სხვა ნებისმიერი ქმედება, რაც აუცილებელია წინამდებარე მინდობილობით განსაზღვრული დავალების შესასრულებლად.